ხელშეკრულება №2023-02/119
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2023 წლის 20 თებერვალი ქ. თბილისი

ერთის მხრივ, **სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**, წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **ქეთევან ლაკირბაია** სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად),
მისამართი: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5;
საიდენტიფიკაციო კოდი: 204861970;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22.
(დაფინანსება – 2023 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებებული ასიგნებები)

მეორეს მხრივ სს ,,სილქნეტი“ წარმოდგენილი კორპ. გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის **თამთა შარაშენიძის** სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”)
მისამართი: ქ. თბილისის, წინამძღვრიშვილის ქ.95;
საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“ TBCBGE22, IBAN: GE97TB7404936070100004

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 სექტემბრის №1805 განკარგულების და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ” ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №77-ში მდებარე დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრისთვის ინტერნეტ მომსახურების გაწევა ამ ხელშეკრულების დანართში (დანართი №1) მოცემული და ტექნიკური დავალების შესაბამისად **(CPV: 72400000 – ინტერნეტმომსახურებები).**

2. მხარეთა მოვალეობები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 1 მუხლში მითითებული უნაკლო მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.1.2. თუკი ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისი, მიმწოდებელი ვალდებულია, გამოასწოროს ეს ნაკლი.

2.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

2.2.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.3. შემსყიდველი ვალდებულია:

2.3.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.3.2. უზრუნველყოს შესყიდვის საგნის მიღება.

2.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

2.4.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების (ინტერნეტის მომსახურება) ერთეულის ფასები მოცემულია თანდართულ გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვაში (დანართი №1), რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **45 000.00** (ორმოცდახუთი ათასი) ლარს.

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელი ვალდებულია, მიაწოდოს შემსყიდველს ყველა შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად (ყოველთვიურად),შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან,

დოკუმენტი მხარეების მიერ ხელმოწერილია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად

2023 წლის დეკემბერში გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება შეიძლება განხორციელდება 2023 წლის იანვარში.

4.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი, გადახდის ფორმა – უნაღდო;

5. მომსახურების გაწევის წესი, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად მიმწოდებელმა **2023 წლის 01 მარტიდან 2023 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით უწყვეტად უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ინტერნეტმომსახურების გაწევა.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ რაც მიმწოდებლის მხრიდან წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა და შემსყიდველის მიერ გამოვლენილი არ იქნება ხარვეზი (წერილობითი პრეტენზია) მომსახურებაში.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2024 წლის 30 იანვრის ჩათვლით.**

7. ხელშეკრულების ინსპექტირება

7.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

7.2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება შემსყიდველის მხრიდან ევალება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებე-ლს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.4. რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის, ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებას იტოვებს, მოითხოვოს დამრღვევი მხარისგან, ხოლო ამ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გა-მო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება ან ჯეროვანი შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.)

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

12. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

12.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო.

15. დასკვნითი დებულებები

15.1. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი – მიმწოდებელს).

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	**სს „სილქნეტი"**
ქეთევან ლაკირბაია	**თამთა შარაშენიძე**
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	კორპ. გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი
Ilia State University Digitally signed by Ilia State University Date: 2023.02.23 15:23:52 +04'00'	Silknet JSC Digitally signed by Silknet JSC Date: 2023.02.23 15:51:32 +04'00'

დოკუმენტი მხარეების მიერ ხელმოწერილია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად

გასაწევი ინტერნეტმომსახურების ხარჯთაღრიცხვა

№	გასაწევი მომსახურების აღწერა	თვეების რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (1 თვის მომსახურება)	მომსახურების საერთო ღირებულება
1	მიწისქვეშა ობტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით ინტერნეტის მიწოდება ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. No77, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი. ინტერნეტმომსახურება მიწისქვეშა ოპტიკურბოჭკოვანი არხით გარანტირებული ინტერნეტის სიჩქარე: ლოკალური: არანაკლებ 100 მბ/წმ გლობალური: არანაკლებ 100 მბ/წმ.	10	4500.00	4 5000.00

აუცილებელი პირობა:

ინტერნეტმომსახურება

• ინტერნეტი საკომუნიკაციო კვანძებიდან უნდა გავრცელდეს ქსელურ ინფრასტრუქტურაში;
• ჯამური არასამუშაო დრო თითოეულ საკომუნიკაციო კვანძში ყოველთვიურად 2-საათზე ნაკლები;
• ინტერნეტის მიწოდებისათვის საჭირო აპარატურის, ასევე ინსტალაციის (მათ შორის: შეერთების ადგილმდებარეობის ცვლილება) და ხარჯები (საჭიროების შემთხვევაში) უნდა გასწიოს მიმწოდებელმა და ის დამატებით არ ანაზღაურდება.

2023 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

დოკუმენტი მხარეების მიერ ხელმოწერილია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად

№ 11765/01-8 "21" 12 2022

მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით სს ,,სილქნეტის" (ს/კ 204566978) კომერციული მიმართულების დირექტორი ლევან ბუჩუკური (პ/ნ 01006001918), (მოქმედი, სს ,,სილქნეტის" გენერალური დირექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის მინდობიობილობი საფუძველზე, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N221395898; რეგისტრაციის თარიღი 13.10.2022) ამავე საზოგადოების კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსს თამთა შარაშენიძეს (პ/ნ 01008023235) ანიჭებს უფლებამოსილებას, ,,სილქნეტის" სახელით, ხელი მოაწეროს:

1. სატენდერო დოკუმენტაციას/წინადადებებს;
2. იურიდიულ პირებთან, მათ შორის საჯარო (სახელმწიფო) დაწესებულებებთან, ასევე ინდივიდუალურ მეწარმეებთან დასადებ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდების სტანდარტულ/არასტანდარტულ (სააბონენტო/სახელმწიფო შესყიდვების) ხელშეკრულებებს, აღნიშნული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შეთანხმებებს, წერილებს, ცვლილება-დამატებებს, დანართებს, საოქმო გადაწყვეტილებებს, მიღება-ჩაბარების აქტებს, შედარების აქტებს;
3. ელექტრონული საკომუნიკაციო მოწყობილობების ინსტალაციის ან/და მათი დროებით სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელ აქტებს ან/და შედარებით აქტებს, რომელთა ერთჯერადი ან ჯამური ღირებულება არ აღემატება 5000 (ხუთი ათასი) ლარს დღგ-ს გარეშე;

თამთა შარაშენიძე ასევე უფლებამოსილი ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს და განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე მინდობილობის 1-3 პუნქტებით გათვალისწინებული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ერთ ეგზემპლარად; ამასთან დასაშვებია მისი ასლის განუსაზღვრელი ოდენობით გადაღება და დამოწმება სს ,,სილქნეტის" ბეჭდით.

ლევან ბუჩუკური

კომერციული მიმართულების დირექტორი

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილისქ. 95
ტელ.: (+995 32) 2 100000; ფაქსი: (+995 32) 2 100001
სს ,,სილქნეტი" ს/კ 204566978

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 2 100000; Fax: (+995 32) 2 100001
JSC ,,Silknet", I/C 204566978